ხელშეკრულება №12

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი თებერვალი, 2023 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის - ვახტანგ კახიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "პისიშოპ.ჯი" (შემდგომში - "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის - ზურაბ ხორგუაშვილის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 "შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 "საქონელი" - წინამდებარე ხელშეკრულების მე - 2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საკუთარი სახსრებიდან მიღებული შემოსავლებით, ანტივირუსის პროგრამული პაკეტების (2 (ორი) ცალი ანტივირუსი Kasperski / Internet Security / Eng. Ru / Windows, MacOc, IOS, Android, Windows Mobile / Digital Key, Renewal / 1 year [P/N: KL19392DBFR], გარანტია: გარანტიის გარეშე) (CPV - 48761000) მიწოდების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
2,2, 2,1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ა) პუნქტის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს - 160 (ასსამოცი) ლარს და 00 თეთრს; მ.შ. 2 (ორი) ცალი ანტივირუსი Kasperski/Internet Security X 80.00 ლარი = 160.00 ლარი.

(მათ შორის დღგ - 24 (ოცდაოთხი) ლარი და 41 თეთრი;
3.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულება მოიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
4.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
4.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
- მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
4.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
- მოახდინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2023 წლის 10 თებერვლის ჩათვლით;
6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი 16;
6.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით;
7.2 „შემსყიდველი“-ს მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი - ვახტანგ კახიძე.

8. ანგარიშწორება

8.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში;
8.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;
8.3 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
9.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 15 მარტის ჩათვლით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის ხელმოწერით;
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ფორს-მაჟორი

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველი-ს ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს საომარო მოქმედებებით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით და სხვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;
12.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;
13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5(ხუთი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველი“-ს მოთხოვნებთან;
14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას „შემსყიდველი“-ს მხრიდან განახორციელებს ცენტრის წარმომადგენელი - მამუკა კაპანაძე;
14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელმოწერილია ელექტრონულად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან; ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის	შპს "პისიშოპ.ჯი"
მუსიკალურ-კულტურული ცენტრი	მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამ.16
თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №123ა	ტელ.: 205 20 75
ხაზინის ერთიანი ანგარიში	საქართველოს ბანკი
TRESGE22	BAGAGE22 / GE27 BG00 0000 0184 2526 00
ს/კოდი: 202055319	ს/კოდი: 205 198 481
ვახტანგ კახიძე	ზურაბ ხორგუაშვილი
სამხატვრო ხელმძღვანელი	დირექტორი

L.E.P.L. Djansug Kakhidze Tbilisi Center for Music and Culture
Digitally signed by L.E.P.L. Djansug Kakhidze Tbilisi Center for Music and Culture
Date: 2023.02.02 14:29:20 +04'00'

PCSHOP. GE LLC
Digitally signed by PCSHOP.GE LLC
Date: 2023.02.01 16:39:55 +04'00'